ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4914379

ნომერი: AR1741299

თარიღი : 21.03.2020

გაცემის თარიღი : 26.03.2020

გაცნობის თარიღი : 26.03.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა რამაზ ჩხიკვაძე , N 8;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დონარა დოლიძე პ/ნ 01010013456
- თბილისი, რამაზ ჩხიკვაძის 8, ბინა 10

ორგანიზაცია:

- შხარა 91 კოდი: 204958554

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: სამსახურის მიერ 29.03.2013წ. №614582 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის მიხედვით აღნიშნული ფართი წარმოადგენს ავტოსადგომს. იმის გათვალისწინებით, რომ საცხოვრებელ ზონებში მიწის ნაკვეთის და სხვა უძრავი ობიექტების სამშენებლო განვითარებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს მინიმუმ ერთი ავტოსადგომი ერთ საცხოვრებელ სახლზე, ხოლო წარმოდგენილი ფოტომონტაჟით დგინდება, რომ ხდება ავტოფარეხის ფუნქციის ცვლილება, ვინაიდან ფასადის ვიზუალური მხარე არ შეესაბამება ავტოსადგომს, რითაც იზღუდება კორპუსისათვის მიკუთვნებული პარკინგის არეალის ფართობი. აღნიშნული გარემოებების გამო ავტოფარეხის რეკონსტრუქციის განხორციელება არამიზნობრივია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მიერ დაგეგმილი სამუშაოების (ავტოსადგომის რეკონსტრუქცია ფუნქციის ცვლილებით) განხორციელებას ვერ დაეთანხმება და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს 21/03/2020 წლის AR1741299 განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge